*<u>პროექტი</u>*

**საქართველოს კანონი**

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. 192-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე ან და სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, გარდა ამ კოდექსის $306^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.“;

**2. 291-ე და 292-ე მუხლები ამოღებულ იქნეს;**

**3. 293-ე მუხლის:**

**ა)** პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, გარდა ამ კოდექსის $306^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. ხმელეთიდან და საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, გარდა ამ კოდექსის 306[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.“;

**ბ)** მე-3 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

**გ)** მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“;

**4. 297-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;**

**5. 299-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 299. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე**

1. წიაღით(გარდა, მიწისქვეშა მტკნარი წყლისა) სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ,–

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.“;

**6. მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს;**

**7. 301-ე მუხლის პირველი ნაწილი ამოღებულ იქნეს;**

**8. 302-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 302. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა**

1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ან ხარობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე შექმნა, გარდა ამ კოდექსის 306[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის გადაშენება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.“;

**9. 303-ე და 304-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 303. მერქნიან მცენარეთა უკანონოდ მოჭრა**

1. მერქნიან მცენარეთა უკანონოდ მოჭრა, ჩადენილი ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 306[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ან დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთაუკანონოდ მოჭრა, გარდა ამ კოდექსის $306^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან.

**მუხლი 304. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება**

1. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ან/და მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით, გარდა ამ კოდექსის $306^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, გარდა ამ კოდექსის $306^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.";

**10. 305-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;**

**11. დაემატოს შემდეგი შინაარსის $306^1$ და $306^2$ მუხლები:**

**„მუხლი $306^1$. გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება**

1. ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის უკანონო ქმედება, რამაც „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

**მუხლი 306[2]. გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა**

1. ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, -

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

*საქართველოს პრეზიდენტი* *გიორგი მარგველაშვილი*

**განმარტებითი ბარათი**
**საქართველოს კანონის პროექტზე**
**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იცვლება გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი, კერძოდ მიყენებული ზიანის მონეტარული ანაზღაურება იცვლება გამასწორებელი ღონისძიებების გატარების ვალდებულებით.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში მოდის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ორ სახეს: გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. **მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში.** ასეთ დროს პირს დაეკისრება გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება მაშინაც, თუ ზიანი დადგა მისი ბრალეულობის გარეშე. მნიშვნელოვანი ზიანი კანონის პროექტის მიხედვით განმარტებულია, როგორც გარემოზე, კერძოდ, ბიომრავალფეროვნებაზე ან/და მიწაზე ან/და სასარგებლო წიაღისეულზე ან/და წყლის (მათ შორის მიწისქვეშა) ობიექტზე მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ და გარემოს დაზიანების დონე შეესაბამება ამ კანონის დანართი 1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ბრალის გარეშე ***გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის*** დაკისრებისთვის აუცილებელია გარემოს დაზიანების დონე შეესაბამებოდეს დანართი 1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 306[1] მუხლი, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ

პასუხისმგებლობას „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისათვის.** სასჯელის სახით აღნიშნული ქმედებისათვის გამოყენებული იქნება ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე. ხოლო იგივე ქმედებისათვის ჩადენილი არაერთგზის სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრა ხდება „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები (მიწის დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, წიაღით უკანონო სარგებლობისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი და ა.შ.). გამომდინარე იქიდან, რომ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მთლიანად ამბობს უარს გარემოსთვის მიყენებული ზიანის მონეტარული ანაზღაურების პრინციპზე და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სახით შემოაქვს ზიანის ანაზღაურების სრულიად ახალი მექანიზმი, აღნიშნული კანონის ამოქმედება გამოიწვევს საქართველოს მთავრობის 54-ე დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართები, რომლითაც დგინდება მერქნიანი მცენარეებისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის. აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრისათვის დადგენილია განსაკუთრებით მკაცრი კრიტერიუმები, გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანი ზიანი პირდაპირ არის დაკავშირებული მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის რეჟიმთან, რა დროსაც გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ბრალეულობის არსებობა საჭირო არ არის. ამიტომაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის დადგომის შემთხვევაში გამოიწვევდა, ისეთი უკანონო ქმედებების დატოვებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეჟიმის გარეთ, რომელთაც მძიმე შედეგი გამოიწვიეს გარემოსათვის და რომელთათვისაც მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არაპროპორციული იქნებოდა ქმედების სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით.

კონკრეტულ შემთხვევებში ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანი, ასევე დააკმაყოფილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმები. ასეთ შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება 306[1] მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, რიგ მუხლებში (192-ე, 293-ე, 299-ე, 303-ე, 304-ე მუხლები) გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი. ასევე სისხლის სამართლის კოდექსიდან ხდება იმ მუხლების ამოღება (291-ე, 292-ე, 293-ე მუხლის მე-3-მე-4 ნაწილები, 297-ე, 300-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 301-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე მუხლი), რომელსაც მთლიანად დაფარავს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმები, რათა არ მოხდეს ერთიდაიგივე ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი ქმედების განსაზღვრა ორი სხვადასხვა მუხლით.

სისხლის სამართლის კოდექსს ასევე ემატება 306[2] მუხლი - გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. როგორც უკვე აღინიშნა, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს შემოაქვს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ გარემოსთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებული იქნება განახორციელოს კანონით გათვალისწინებული გამასწორებელი ღონისძიებები, რომელსაც განუსაზღვრავს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება ემსახურება დაზიანებული გარემოს პირვანდელ ან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენას, შესაბამისად, ამ ღონისძიებების განუხორციელებლობამ შესაძლოა არა მხოლოდ დააკარგვინოს გარემოს კონკრეტულ კომპონენტს სარგებლიანობა, არამედ ასევე სამომავლოდ უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პირი ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგაც არ განახორციელებს გამასწორებელ ღონისძიებებს მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

საჭიროების შემთხვევაში (თუ პირს კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახით სასამართლოს მიერ შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა) აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 306[2] მუხლი - გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა, რისთვისაც სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა. აღნიშნული ჯარიმის ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ შემთხვევაში გამოიყენებს სასჯელის სახით ჯარიმას სასამართლო.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, თუ პირს კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახით სასამართლოს მიერ შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულისათვის გათვალისწინებული ხარჯები დაიფარება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებიდან. ამასთან, დღეის მდგომარეობით, ერთი მსჯავრდებულისათვის წლიური ხარჯი შეადგენს დაახლოებით 4000 ლარს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება და რომლებიც მოექცევიან ახალი რეგულაციის პირობებში. კერძოდ, კანონპროექტით გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი. კანონპროექტით დგინდება სხვა სახის გადასახდელი. გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ჩადენილი ასეთი

ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ალტერნატიული სასჯელის სახით განისაზღვრება ჯარიმა.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**
ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**
ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**
საქართველოს მთავრობა.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის ხდება მისი ამოღება**

**მუხლი 192. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა**

1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე ანდა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

**შენიშვნა:**

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

**მუხლი 291. წყლით სარგებლობის წესის დარღვევა**

წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის სხვა დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

**მუხლი 292. წყლის დაბინძურება**

1. წყლის ობიექტის დაბინძურება, დანაგვიანება, დაშრეტა ან მასზე სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღვეთით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე ანდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 293. ზღვის დაბინძურება**

1. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. ხმელეთიდან და საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვლისწინებული ქმედება, რამაც მნიშვნელოვნი ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ სამყაროს, თევზის მარაგს ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმს, დასვენების ზონას ანდა კანონით დაცულ სხვა სიკეთეს, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 297. მიწის გაუვარგისება**

1. სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობისას მავნე ნივთიერებით მიწის მოწამვლა, დეგრადაცია ან მიწის სხვაგვარი გაუვარგისება, განპირობებული სასუქის, მცენარეთა ზრდის სტიმულატორის, შხამქიმიკატის, სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის დროს მისდამი მოპყრობის წესის დარღვევით, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, რამაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუვარგისება გამოიწვია, –

ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 299. წიაღით უკანონოდ სარგებლობა**

1. წიაღით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,–

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

**მუხლი 300. უკანონო თევზჭერა**

1. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

3. ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით თევზჭერა, ჩადენილი აკრძალულ დროს ან აკრძალულ ადგილას, ან საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის ან მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

**მუხლი 301. უკანონო ნადირობა**

1. ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე , სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია , ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით , ან საქართველოს „ წითელ ნუსხაში " შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ - ფრინველზე , აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში , –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**მუხლი 302. საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა**

1. საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ან ხარობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე შექმნა, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის გადაშენება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**მუხლი 303. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა**

1. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

**მუხლი 304. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება**

1. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

**მუხლი 305. დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა**

სახელმწიფო ნაკრძალის, აღკვეთილის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, დაცული ლანდშაფტის ან სხვა დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.